

ბუღდანელი დიდებული

მე ვიყავ დიდებული ბუღდანით. ცხრა ძე მყვანდა და დიდებისა ჩემისა რიცხვი არ ეგებოდა. ერთი ციხე მედგა შეუვალი. ღვთის გარდა არას კაცს არ ვეპუებოდი. ვისგან მეგონებოდა შეძვრა ჩემი= რვანი ჩემნი ძენი მორჩილნი იყვნეს, ერთი დია ურჩი და ავი იყო.

შემომიღვა სნეულეზა. ცოლი, ასული და რვანი ძენი მორჩილნი დამიხოცნა და იგი ურჩი და წყეული ძე დამრჩა. შვილი იყო, არ მოიკვლოდა ჩემგან. სალარო ჩემი მისცა სხვათა, მოიმხრო და გამომამძო. მუნ ველარ დავდეგ. მოველ აქა. აწ თუ უნაღვლო ვიყო, შენ გასინჯე!

თქვა მეათემან ავპირად:

- თუ მეფე ხარ, რასათვის დაგიტევებია მეფობა და ცუდად რბი= თუცა სირცხვილი იცი, რად არ იმყოფინებ ესოდენსა აუგსა და აუგიანსა სიტყვასა= რა სამეფო სასმენელნი არიან= წარვედ, მე არას ვეტყვი ამბავსა ჩემსა, ვირემ ცოცხალ ვარ და ვერცა ვინ მათქმევინოს. გიჯობს, სამეფო შენი განაგო!

ერთმან უთხრა: მეფობას იჩემებ და რად დაგიტევებია სამეფოლო=

მეფემ უთხრა: უნაღვლოს კაცს ვეძებო.

მეორემან უთხრა:

- თუცა მეფე ხარ, რად ესრეთ უმეცარ ხარ, უნაღვლო კაცი დედისაგან არ იშობების!

მეფემ უბრძანა:

- ვაზირმან ჩემმან ბევრი მითხრა და არ ვუსმინე.

მესამემან უთხრა:

- თუცა ყმანი ჭკუათ მყოფნი გყვანან, იგინი ამეფე და შენ მათ დაემონე!

მეოთხემან უთხრა:

- მით გივლია კეთილსა და სამეფოსა საქმესა ზედა, ვაზირთა არა უსმენდი!

მეხუთემან უთხრა:

- რადგან ეგრე უბადოს საქმესა მავალ იყავ, მამამან შენმან რად შიკრიკად არ დაგადგინა=

მეექვსემან უთხრა:

- გლახაკი თუცა იყო, სლვასა და ცუდსა ტარებასა იკადრებ.

მეშვიდემან თქვა:

- თუცა მეფე იყო, კაციმცა გაეგზავნა პოვნად და თვითმცა

დამყარებით ყოფილიყო.

მერვემან თქვა:

- რას აბრალებთ, ანუ რას შეაწუხებთ? უსაქმოდ ყოფილა და წამოსულა. არაკად თქმულა: ცუდად ჯდომას ცუდად შრომა უმჯობეაო.

მეცხრემან თქვა:

- ამისთანა მასპინძელიმც თქვენ დაგიხვდებათ, როგორც თქვენ ამას დახვდით: მეფე გეწვიათ და თქვენ გაკიცხეთ.

მეათემან თქვა: თრევასაც ვემართლებოდით და კიცხვასა აჯერებთო? წამოვიდა მეფე მუნით და მოვიდა სამეფოსა თვისსა. ვაზირსა თვისსა დიდი პატივი მიჰმადლა და ყოველივე ყოფილი უთხრა.

მოახსენა ლეონ მეფესა:

- მეფეო, უნაღვლო ხომ არავინ არის შენ რამდენჯერ ნაღველი მოგერიოს, კაცი არ გაიკითხო, ვით იქმნების, ანუ მერმე რას იტყვის.

მეფეთაგან სამნი უყვარან ღმერთსა: სიმშვიდე, სიმდაბლე და სულგრძელობა.

მეფეთაგან სამს დაიმაძღვებს უფალი: სამართალსა უქრთამოსა, მოწყალებასა და დიდსა სიყვარულსა ყოველთასა.

მეფეთაგან სამს ინატრიან ქვეყანანი: ზავთსა მართებულსა, სიმართლესა უზაკველსა და სიუხვესა მოუკლებელსა.

მეფეთაგან სამს იქენებენ დიდებულნი: სიტკბოსა წესიერსა, ნადიმსა ამოსა და ჭირში - ჭირსა და ლხინში დ ლხინსა.

მეფეთაგან სამს ნდომობენ მხედარნი: ცხენსა მალსა, საჭურველსა მაგარსა და დანახვასა ნამსახურისასა.

მეფეთაგან სამს იღვწიან გლახაკნი: კარსა ღიასა, თხოვისა ბოძებასა და სიხარულით წარვლენასა.

მეფეთაგან სამს ითხოვენ მონანი: სავსესა ტაბლასა, ჯამაგირთა მოუკლებლობასა და მალე შეუბუზღებლობასა.

მეფეთაგან სამს ინდომებენ ვაზირნი: ყურის მიპყრობასა, სიტყვის აგონებასა და რჩევის დაჯერებასა.

მეფეთაგან სამს ინებებენ მოჩივარნი: საჩივრის სმენასა, აუჩქარებლობასა და დაუფერებლობასა.

მეფეთაგან სამს ინატრებენ ვაჭარნი: თვალთა და ლალთა ცნობასა, ღირებულის მიცემასა და უფასურად ვაჭრობასა.

მეფეთაგან სამს ევედრებიან მოგზაურნი: მეკობრეთაგან მორჩენასა, ზვერის წესად აღებასა, ფუნდუკთა უშუღართა დგომასა.

მეფეთაგან სამს იხვეწებიან შესმენილნი: მობეზღრისა წაყენებასა, ურისხველად ბრძანებასა და მართლებასა თავისასა.

მეფეთაგან სამს ითხოვენ პატიმარნი: შეცოდებისა შენდობასა,
რისხვის წყალობად შეცვლასა და ხილვასა პირისა მისისასა^ა

ესე არს წესი მეფეთა, ესე არს საბოძვარი თემთა, ესე არს
გოდოლი სპათა, ესე არს ზღუდე ქალაქთა რომელმან ჰყოს, იგი
და ქვეყანა მისი დაემყაროს. რქვა რუქამ საჭურისმან
ლეონს:

- თუცა ეგოდენი კეთილი იცოდი და სამეფონი ქცევანი,
გვემასა და შიმშილსა ეგ უმჯობე არ იყო, ჯუმბერისათვის
გესწავებინა^ა

თქვა ლეონ არაკი: